

ბაკალავრიატის ინგლისურენოვანი პროგრამის კომპიუტერული მეცნიერება და ხელოვნური ინტელექტი Computer Science and Artificial Intelligence

პროექტი

პროგრამის სპეციფიკა: პროგრამა მიმართულია დასაქმების და განათლების ბაზარზე კონკურენტუნარიანი, კომპიუტერული მეცნიერებისა და ხელოვნური ინტელექტის მიმართულებით თანამედროვე ცოდნის მქონე სპეციალისტის მომზადებაზე, რომელსაც ექნება რთული და კომპლექსური ალგორითმების გაანალიზების, ამოცანების გადაჭრისთვის შესაბამისი დაპროგრამების ენის არჩევის, სხვადასხვა რიცხვითი მეთოდების გამოყენებით გამოთვლების ჩაატარების, ხელოვნური ინტელექტის მიმართულებით ახალი პროდუქტის შექმნაში მონაწილეობის მიღების, მეწარმეობის და ინოვაციების მართვის ცოდნაზე დაფუძნებით ტექნოლოგიური იდეების კომერციულ პროდუქტებად გარდაქმნის, დაინტერესებულ პირებთან კომუნიკაციის, საკუთარი საქმიანობის ეთიკის პრინციპების დაცვით განხორციელების და განვითარებაზე ორიენტირებული საქმიანობის წარმართვის უნარი. პროგრამის კურსდამთავრებულს ეცოდინება, მაგალითად, კომპიუტერული მეცნიერების საკვანძო ასპექტები და ხელოვნური ინტელექტის დანიშნულება და როლი, ალგორითმების, გამოყენებითი პროგრამების, ინტელექტუალური სისტემების, კომპიუტერული პროგრამირების, კომპიუტერული ტექნიკისა და მოწყობილობების, „ადამიანი კომპიუტერი“ ინტერფეისების, ქსელებისა და კომუნიკაციის, ინფორმაციის მართვის, ინფორმაციული ტექნოლოგიების რესურსების დაგეგმვის და ინფორმაციული სისტემების ძირითადი საკითხები, მეთოდები, მიდგომები და თეორიები. კურსდამთავრებულს შეეძლება, მაგალითად, დასმული ამოცანის შესაბამისად დასაბუთებული გადაწყვეტილების მიღება ეთიკური პრინციპების გათვალისწინებით, დამკვეთის მოთხოვნებისა და დასმული ამოცანის ანალიზი და გადაწყვეტის გზების შემუშავება, მონაწილეობა ხელოვნური ინტელექტის მიმართულებით სხვადასხვა ამოცანის გადაჭრაში, განხორციელებასა და შეფასებაში, და სხვ.

პროგრამის ძირითადი მახასიათებლები: უმაღლესი განათლების საფეხური: I (ბაკალავრიატი); მისანიჭებელი კვალიფიკაცია: კომპიუტერული მეცნიერების ბაკალავრი / Bachelor of Computer Science (კვალიფიკაციის კოდი: 0613 (0613.1.2)). სწავლების ენა: ინგლისური; პროგრამის მოცულობა - 240 კრედიტი (1 კრედიტი = 25 სთ); პროგრამის სტრუქტურა: თავისუფალი კომპონენტი (მათ შორის, სავალდებულო და არჩევითი ნაწილი) და ძირითადი სწავლის სფეროს კომპონენტი (მათ შორის, სავალდებულო და არჩევითი ნაწილი): 4 აკადემიური წელი (8 სემესტრი).

კურსდამთავრებულის დასაქმების შესაძლებლობა: კურსდამთავრებული შეიძლება დასაქმდეს როგორც საჯარო, ასევე კერძო სტრუქტურებში, რომლებიც იყენებენ ინფორმაციულ და საკომუნიკაციო ტექნოლოგიებს. კერძოდ, ისეთ სფეროებში, როგორცაა ჯანდაცვის, ეკონომიკის, ფინანსური, საბანკო, იურიდიული, საგანმანათლებლო, ხელოვნების, თავდაცვის/უსაფრთხოების, სამეცნიერო-კვლევითი, ინდუსტრიასა და/ან სხვ. კურსდამთავრებული შეიძლება დასაქმდეს ყველგან, სადაც საჭიროა მანქანური სწავლების, მონაცემთა მეცნიერების, რობოტიკის და ზოგადად ხელოვნური ინტელექტის მეთოდების გამოყენება და შესაბამისი პროგრამული უზრუნველყოფის შექმნა.

კურსდამთავრებულის სწავლის გაგრძელების შესაძლებლობა: პროგრამის კურსდამთავრებულს სწავლის გაგრძელება შეუძლია უცხოეთის და საქართველოს უმაღლეს საგანმანათლებლო დაწესებულებებში უმაღლესი განათლების შემდგომ საფეხურზე (მაგისტრატურაში), საგანმანათლებლო პროგრამაზე, რომელიც წინაპირობის სახით არ მოითხოვს პროგრამის კურსდამთავრებულის კვალიფიკაციისაგან განსხვავებული კვალიფიკაციის საჭიროებას.

პროგრამაზე სწავლის წინაპირობები: პროგრამაზე დაიშვება სრული ზოგადი განათლების ან მისი ეკვივალენტური განათლების მქონე პირი, საქართველოს მოქმედი კანონმდებლობის შესაბამისად. ჩარიცხვა ხდება ერთიანი ეროვნული გამოცდების შედეგების (რანჟირების დოკუმენტის) საფუძველზე (სავალდებულო საგნად ინგლისური ენის ჩაბარების პირობით), გარდა უმაღლესი განათლების შესახებ საქართველოს კანონით განსაზღვრული შემთხვევებისა (ერთიანი ეროვნული გამოცდების გარეშე ჩარიცხვა ხდება კანონმდებლობით განსაზღვრულ შემთხვევებში დადგენილი წესის შესაბამისად) - ორივე მითითებულ შემთხვევაში პროგრამაზე სწავლისთვის აუცილებელი მოთხოვნაა ინგლისური ენის ფლობა არანაკლებ B1 დონეზე. პროგრამით სწავლის გაგრძელება შესაძლებელია მობილობით ბტუ-ს და სხვა უსდის უმაღლესი განათლების იმავე საფეხურის საგანმანათლებლო პროგრამების სტუდენტებისთვის (დამატებითი მოთხოვნა ინგლისური ენის ფლობა არანაკლებ B1 დონეზე), სტუდენტების მიერ უკვე მიღწეული სწავლის შედეგების თავსებადობა წინამდებარე პროგრამასთან დადგინდება საქართველოს მოქმედი კანონმდებლობის შესაბამისად, ბტუ-ში არსებული განათლების (კრედიტების) აღიარებასთან დაკავშირებული რეგულაციებით. პროგრამის სრული ვერსია განთავსდება ბტუ-ს ვებგვერდზე - პროგრამაზე სწავლის მსურველს შეეძლება დაუკავშირდეს პროგრამის ხელმძღვანელს, დააზუსტოს ინფორმაცია პროგრამის და მისი კომპონენტების შესახებ, გაიაროს კონსულტაცია პროგრამის სპეციფიკისა და სწავლის თავისებურებების შესახებ.

პროგრამის განხორციელების დაწყების საპროგნოზო ვადა: 2026 -2027 აკადემიური წელი.